К 65.074
К 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ჩაგიანი

კუბრის ლეგენდის საბჭოთა თვისებები

საქმელგამი
19·თებერვალი·56

61:91(ს9ბ2)
ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ბ. რაზმაძე

კეთილშობილ

ლეკვიანელობის

საშკოლო თვისებები

K 6507
3

ინვენტარული
ნომერი
L 133-2000

ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქმედგამი
თბილისი-1956

წინასიტყვაობა

ლებარდე მეტად პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია, იგი მდებარეობს სამეგრელოს მთიან ნაწილში (გეგეჭკორის რაიონი) და ცნობილია მაღალხარისხოვანი კლიმატური ფაქტორებით. ლებარდეს სამკურნალო და პროფილაქტიკურ მნიშვნელობას საგრძნობლად ამდიდრებს მისი მინერალური წყლები.

მკურნალობა-დასვენების მაღალი ეფექტურობის გამო ლებარდეში ავადმყოფთა და დამსვენებელთა რაოდენობა თანდათან მატულობს. უკანასკნელ წლებში მოაგარაკეთა რიცხვი აქ ერთდროულად ათი ათასს აღემატება.

ექ. ალექსანდრე რატიანის წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნარკვევს, რომელშიც თანმიმდევრობით არის მოცემული კურორტ ლებარდეს ჯგუფის სამკურნალო ადგილების (თვით ლებარდეს, ჩეგოლას, კემლაკესარის, ჩამჭონის და სხვ.) აღწერილობა, ჰავის და მინერალური წყლების მოკლე დახასიათება, ლებარდეს სამკურნალო ფაქტორების გავლენა სხვადასხვა დაავადებებზე, მინერალური წყლების გამოყენების წესები და სხვ.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს კურორტ ლებარდეს სამკურნალო ფაქტორების დადებით გავლენას ბავშვთა ასაკზე და ამ ასაკის ზოგიერთ დაავადებაზე.

საჯარო ბიბლიოთეკა

ბოლოს ავტორი იძლევა ლებარდეში მკურნალობის ჩვენ-ბა-წინაალმდეგჩვენებებს და კურორტის შემდგომი განვითარე-ბის პერსპექტივებს.

ნარკვევი პოპულარული ენით არის დაწერილი, იგი სასარ-გებლო სამსახურს გაუწევს მკითხველს ლებარდეს სამკურნა-ლო მნიშვნელობის გაცნობაში.

დოც. მ. ი. ნოდია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ-ე-ს-ა-ვ-ა-ლ-ი

ბუნებრივი ფაქტორების—წყლის, ჰაერისა და მზის სხივების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მოქმედება უძველესი დროიდანაა ცნობილი ადამიანისათვის. მაგრამ ამ ფაქტორების მეცნიერული შესწავლა და მათი გამოყენება მშრომელთა ფართო მასების ჯანმრთელობის დაცვისათვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ყოველწლიურად მრავალი ახალი კეთილმოწყობილი კურორტი ემატება საბჭოთა ქვეყნის ფართო საკურორტო ქსელს.

სამკურნალო ადგილებით განსაკუთრებით მდიდარია საქართველო, რომლის შესანიშნავ კურორტთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კურორტ ლებარდეს.

ლებარდე მდიდარია ადამიანის ფსიქიკაზე დამამშვიდებლად მოქმედი ბუნების სილამაზით, მზის სხივების უხვი რადიაციით, სუფთა, ოზონირებული, მთისა და ზღვის შეზავებული ჰავითა და მინერალური სამკურნალო წყლებით.

თუმცა ლებარდე ნახევარ საუკუნეზე მეტია ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოწყობილი და მეცნიერულად სრულყოფილად შესწავლილი.

წინამდებარე შრომის მიზანია, ათი წლის განმავლობაში (1944—1954 წწ.) ჩატარებულ სისტემატურ დაკვირვებათა შედეგად დაგროვილი ფაქტიური მასალის საფუძველზე მოკლედ გააცნოს მკითხველს ლებარდეს სამკურნალო ფაქტორები და მათი დადებითი გავლენა ზოგიერთ დაავადებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებარდეს აღწერილობა და მოკლე ისტორიული ცნობები

კურორტი ლებარდე მდებარეობს გეგეჭკორის რაიონში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1300—1 600 მეტრის სიმაღლეზე; რაიონის ცენტრიდან იგი დაშორებულია 60 კილომეტრით და უკავშირდება მას კეთილმოწყობილი საავტომობილო გზით.

ლებარდე გარშემორტყმულია მაღალი მთებით, რომლებიც შემოსილია მარადმწვანე ნაძვით, ფიჭვით, სოჭით და ნეკერჩხლით.

მომხიბლავია ლებარდეს ბუნება არა მარტო კურორტის ცენტრში, არამედ ლებარდეს მთელ გზაზე. იგი 30 კილომეტრის მანძილზე კვალდაკვალ მისდევს მდინარე ტეხურის ლამაზ ხეობას, რომელიც მდიდარია მინერალური წყლების საბადოებით.

ლებარდეს რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს. მკვიდრი მცხოვრებლები მოგვითხრობენ, რომ ლებარდეს მინერალური წყლები აღმოჩენილია ადგილობრივი მწყემსების მიერ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში. მწყემსებს შეუმჩნევიათ, რომ საქონელი გვერდს უვლიდა მდინარის წყალს. თავს იყრიდა ერთი დიდი ხის ძირას, რომლის ფესვებიდან წყალი გამოდიოდა და სვამდა მას. მწყემსების ყურადღება მიუქცევია წყლის ირგვლივ ჟანგისფრად შეფერილ მიწას და ქვებს. შემდეგში, როგორც გადმოგვცემენ, ზაფხულობით ლებარდეში საგარაკოდ გამგზავრება დაუწყიათ სამეგრელოს თავად-აზნაურთა ოჯახებს, რომლებსაც აკვირვებდათ ლებარ-

დეს მინერალური წყლისა და ჰაერის სამკურნალო მოქმედება, მაგრამ კურორტის კეთილმოწყობაზე არავინ ფიქრობდა.

მშრომელთა ფართო მასებისათვის ლებარდე ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

ლებარდეს სახელი გაუთქვეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც იქ აღიდგინეს და განიმტკიცეს ჯანმრთელობა.

ომისწინა წლებში ლებარდეში დამსვენებელთა რიცხვმა 7 000-ს მიაღწია (ცნობები ლებარდეში დამსვენებელთა შესახებ მოყვანილია 1 ცხრილში).

ლებარდეს კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული ომისწინა წლებში, ომმა დროებით შეაჩერა ეს მუშაობა, რომელიც კვლავ აღდგა სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ; 1948—1950 წლებში სამეგრელოს რაიონების კოლმეურნეებმა სახალხო მშენებლობის წესით გაიყვანეს საავტომობილო გზა, რითაც საფუძველი ჩაუყარეს კურორტის შემდგომი კეთილმოწყობის საქმეს.

უკვე გზის გაყვანის პირველ—1951 წელს, მარტო აგვისტოს თვეში ლებარდეში ერთდროულად 10 000-ზე მეტი ადამიანი ისვენებდა. დამსვენებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

საინტერესოა კურორტის სახელწოდება—„ლებარდე“. ზოგიერთის აზრით, ეს სახელი შერქმეული უნდა იყოს პრინცმიურატისა და მისი ფრანგი სტუმრების მიერ, რომლებიც სამკურნალოდ და დასასვენებლად დადიოდნენ ლებარდეში. აღნიშნული სიტყვა, თითქოს, ფრანგულიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

„ლებარდე“ მეგრული წარმოშობის სიტყვაა. მეგრულ გამოთქმებში ხშირად გვხვდება სახელთა მაწარმოებლად მარცვალი „ლე“, რომელიც წინ ერთვის სიტყვას და ქართული სა-ო მაწარმოებლის შესატყვისია. მაგალითად, სამეგრელოში არის სოფლები ასეთი სახელწოდებით: ლე-ხაინდრაო (სახაინდრაო), სადაც სახლობენ ხაინდრავები, სოფ. ლე-სიჭინე, სადაც სახლობენ სიჭინავები, სოფ ლე-ძაძამე—სახლობენ ძაძამიები და სხვ.

ცხრილი 1

დამხვენებელთა რაოდენობა
ექიმ ბ. კ. გობეჩიას მონაცემებით

№ რიგ.	წლები	დამსვენებელთა რაოდენობა	მათ შორის ბავშვები (14 წლამდე)
1	1922	800	365
2	1923	950	401
3	1924	1150	493
4	1925	1600	671
5	1926	2300	984
6	1927	2000	1315
7	1928	3250	1405
8	1929	2545	1509
9	1930	3419	1990
10	1931	3700	1950
11	1932	3550	1665
12	1933	3795	1815
13	1934	3900	1615
14	1935	4100	2525
15	1936	4560	2700
16	1937	3600	2770
17	1938	7000	3700
18	1939	6900	3200
19	1940	7100	3400
		ჩვენი მონაცემებით	
1	1944	196	28
2	1945	310	65
3	1946	889	267
4	1947	1750	535
5	1948	3600	986
6	1949	2276	970
7	1950	2500	840
8	1951	8000	2996
9	1952	3492	1250
10	1953	4500	1800

ლებარდეს ტერიტორია, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები მოგვითხრობენ, წარსულში დაფარული იყო ერთგვარი სარეველა მცენარით, რომელსაც აქ დღესაც ვხვდებით. ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებარდე. კურორტის საერთო ხედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებარდე. ჩაის მრეწველობის მუშაკთა დასასვენებელი სახლები.

მცენარე იზრდება დაახლოებით 1½—2 მეტრამდე. მას საკმაოდ მსხვილი ღერო და ფართო ფოთლები აქვს. მისი ზოგიერთი ჯიში თავისი შხამიანი ბუსუსებით სუსხავს კანს და იწვევს კანის მწვავე ანთებას, ხშირად ჩირქოვან პროცესსაც. ეს მცენარე ისე გავრცელებული ყოფილა ლებარდე'ში, რომ მწყემსებს და საქონელს გავლაც კი უჭირდათ ამ ადგილებში.

საერთოდ, ასეთ სარეველა მცენარეებს მეგრულად „ბარდს" უწოდებენ, იმ ადგილს კი, რომელიც ამ მცენარით იყო დაფარული, ლე-ბარდე უწოდეს.

ფ ლ ო რ ა დ ა ფ ა უ ნ ა. კურორტ ლებარდეს მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მცენარეთა მრავალსახეობისათვის. მდინარე ტეხურის გაყოლებით, სოფელ კურზუდან ლებარდემდე, მცენარეებიდან გვხვდება რცხილა და ბარში აოსებული მცენარეთა ჯიშები, შემდეგ იწყება ბზის გაუვალი ტყეები; ამ ადგილს უწოდებენ „ზაკალონას" (მეგრულად ბზას უწოდებენ „ზაკალს"), „ზაკალონას" შემდეგ იწყება „ხეძონა". აქ გვხვდება კაკლის ტყეები, რომელსაც მოსდევს თელას, ცაცხვის და სხვა ფოთლოვანი მცენარეების შერეული ტყეები. ზღვის დონიდან 800—900 მეტრის სიმაღლეზე იწყება წაბლის ტყეები აქა-იქ შერეული წიფლით. დაახლოებით 1 000 მეტრ სიმაღლეზე კი ასწლოვანი წიფლის, სოჭის, ფიჭვის და ნაძვის ტყეებია. ლებარდეს მისადგომებთან გვხვდება ნეკერჩხალი. თვით ლებარდეს ტერიტორია და მის ირგვლივ ქედები დაფარულია სოჭის, ფიჭვის, ნაძვის, წიფლისა და ნეკერჩხლის შერეული ტყეებით.

გარეული ცხოველებიდან მდინარე ტეხურის ხეობაში უფრო ხშირად გვხვდება დათვი, მაჩვი და გარეული თხა. როგორც მხცოვანი მწყემსები მოგვითხრობენ, წინათ ლებარდეს ზონაში მრავლად იყო ჯიხვი და შველი. ადგილობრივ მცხოვრებლებს ახსოვთ, რომ ლებარდეს მთების ფერდობებზე დილაობით საძოვრად გამოდიოდნენ გარეული თხის მრავალრიცხოვანი ჯოგები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებარდეს ჯგუფის საკურორტო ადგილები

მდინარე ტეხურის ხეობის სათავე და შუა ნაწილი მდიდარია მინერალური წყლებით; ეს ადგილები მდიდარია აგრეთვე მადნეულის საბადოებით, რაც დადასტურებულია უკანასკნელ წლებში ჩატარებული გეოლოგიური ძიებით.

ტეხურის სათავე, რომელიც ცნობილია „ჩეგოლას“ და „ტეხურის“ სახელწოდებით, მდებარეობს ლებარდეს ჩრდილო-დასავლეთ ზონაში, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2 000 მეტრამდე აღწევს. აქ გამოდის სამი სახის მინერალური წყალი, რომელსაც ხალხი იყენებს როგორც სასმელად, ისე აბაზანების სახით, კუჭ-ნაწლავთა, კანის, ნერვული სისტემის და სახსართა დაავადებების სამკურნალოდ.

ჩ ე გ ო ლ ა დაშორებულია ლებარდეს 9 კილომეტრით, ხოლო პირდაპირი საცალფეხო გზა მათ შორის 4 კილომეტრია. მინერალური წყალი გამოდის მდინარე ტეხურის შენაკადს ვიწრო ხეობაში. ჩეგოლა მაღლობზე გამოდის, ასე რომ, თავისუფლად შეიძლება მისი გამოყვანა ლებარდეში, რაც კიდევ უფრო გაადიდებს კურორტის სამკურნალო ფაქტორებს.

ჩ ა მ ჰ ო ნ ი მდებარეობს ლებარდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ზონაში, 100—150 მეტრით მაღლა ლებარდეზე და დაშორებულია მას $1^1/_2$—2 კილომეტრით. ეს ადგილი შესანიშნავია თავისი თვალწარმტაცი ბუნებით და სუფთა მთის ჰაერით. „ჩამჰონი“ მეგრული სახელწოდებაა ნეკერჩხლის, რომელიც დიდი რაოდენობით ხარობს აქ. ეს მცენარე თავისი დეკორატიულობით კიდევ უფრო ალამაზებს მთის ისედაც მშვენიერ ბუნებას. ჩამჰონი ულამაზესი მთის კლიმატური სადგურია.

კემლაკესარი მდიდარია ლებარდეს მინერალური წყლების მსგავსი წყაროებით, იგი მდებარეობს ლებარდეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაშორებულია მას 15 კილომეტრით.

კემლაკესარი მდებარეობს ალპურ ზონაში.

კურორტ ლებარდეს ჯგუფში შედის აგრეთვე ახლომდებარე მთის კლიმატური სადგურები, რომლებსაც, როგორც სამკურნალო ადგილებს, მე-19 საუკუნის 80-ანი წლებიდან იცნობდა ხალხი. ასეთი ადგილებია ტობავარჩხილი, დვირა და სხვ.

ტობავარჩხილი მდებარეობს ლებარდეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ალპურ ზონაში, ლებარდედან 8 კილომეტრის დაშორებით. აქ არის მწყემსთა სამყოფი ადგილი დვირა, რომლის-ახლოს თვალუწვდენელი კლდის ძირას მდებარეობს ტბა ტობავარჩხილის სახელწოდებით. ამ სიტყვის პირდაპირი ქართული თარგმანი იქნება „ღრმა ვერცხლი" (ტობა—ღრმა, ვარჩხილი—ვერცხლი). ამ ტბას დაახლოებით 2—3 ჰექტარი ფართობი უკავია. წყალი მეტად სუფთაა და ციმციმებს როგორც ვერცხლისწყალი. ალბათ, ამიტომ დაარქვა მას ხალხმა „ტობავარჩხილი". ტბის წყალი ძალიან ცივია, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ტბის ჩრდილოეთით, ხეობაში მუდმივად დევს თოვლი. ტბის დასავლეთი მხრიდან გამოდის პატარა ნაკადი.

თვით დვირაში გამოდის აგრეთვე ლებარდეს მინერალური წყლების ტიპის წყაროები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამკურნალო ფაქტორები და მათი გავლენა ზოგიერთ დაავადებაზე

მთის კლიმატის სამკურნალოდ გამოყენებას ათეულ საუკუნეთა ისტორია აქვს. მთის ჰაერი შესამჩნევად განსხვავდება ბარის ჰაერისაგან სისუფთავით, გამჭვირვალობით, სიმშრალით, დაბალი ბარომეტრული წნევით და ქიმიური შემადგენლობით. მთის ჰაერში ნაკლებია ყანგბადისა და ნახშირმჟავას შემადგენლობა (ჰაერის გაიშვიათების გამო), იგი მდიდარია ოზონით.

მთის ჰავა საერთოდ გარკვეულ დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ცნობილია, რომ მთაში სუნთქვა ხშირდება და ღრმავდება, მატულობს გაზთა ცვლა, იცვლება სისხლის სურათი—მატულობს ერითროციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა, შესამჩნევად მატულობს ერითროციტების რეზისტენტობა და ნელდება ედრ, თუ ის აჩქარებულია. მთის კლიმატი იწვევს ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებას და დადებითი გამაღიზიანებელი მოქმედებით ორგანიზმი გადაჰყავს ფუნქციურად აქტიურ მდგომარეობაში. ეს კი იწვევს ორგანიზმის დამცველი ძალების გაძლიერებას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ჯანმრთელობის აღდგენას და განმტკიცებას. მთის ჰავის ყველა ეს დადებითი თვისება დამახასიათებელია ლებარდესათვის. მაგრამ აქ ხაზი უნდა გავუსვათ ლებარდეს კლიმატის განსაკუთრებულ თავისებურებას. ეს არის ლებარდეს კლიმატზე ზღვის ჰავის შესამჩნევი გავლენა, რომელიც არბილებს და ამსუბუქებს მთის მკაცრ ჰაერს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გულით და ჰიპერტონიული სნეულებით დაავადებულნი ლებარდეში კარგად გრძნობენ თავს და მათი მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება.

ჩვენ ამ საკითხს უფრო ვრცლად ქვევით შევეხებით. აქ

მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ლებარდე წინააღმდეგნაჩვენები ა[illegible] არის გულისა და სისხლძარღვთა სისტემის სნეულებით დაავადებულთათვის კომპენსაციის ფაზაში.

ქვემოთ მოგვყავს ორგანიზებულ ბავშვთა ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რომელიც ნათელყოფს ლებარდეს კლიმატის დადებით გავლენას სისხლის შემადგენლობაზე (ცხრილი 2).

ქვემომოყვანილ ცხრილში მოცემული მასალების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზებულ ბავშვებს, რომლებიც ლებარდეში ჩვენი მეთვალყურეობისა და დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ, სანატორული, ანუ რაიმე განსაკუთრებული კვება არ ჰქონიათ; როგორც კვების, ისე საყოფაცხოვრებო რეჟიმის მხრივ ისინი იმავე პირობებში იმყოფებოდნენ, რაც მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ჰქონდათ. მიუხედავად ამისა 100-დან 98 შემთხვევაში მიღებულია ჰემოგლობინის ნატება, უცვლელი მდგომარეობა და დაკლება აღინიშნება მხოლოდ 2 შემთხვევაში. წონაში მატებას ადგილი ჰქონდა 97 შემთხვევაში.

იმ ბავშვებს, რომლებმაც წონაში დაიკლეს ან ამ მხრივ უცვლელ მდგომარეობაში დარჩნენ, ჰქონდათ, როგორც წესი, ჰიპერტროფიული ტონზილიტები, რაც ხშირად ურთულდებოდათ ცივი ჰაერისა და მინერალური წყლის გამაღიზიანებელი მოქმედებით. ამავე ბავშვებს აღენიშნებოდათ აგრეთვე ერითროციტების დალექვის აჩქარებული რეაქცია.

გამოკვლევა წარმოებული იყო მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებიც ფიზიკურად უფრო სუსტი ყანვითარებისა იყვნენ და საერთოდ გარეგნული შესახედაობით სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თუმცა გასინჯვით პათოლოგიური ცვლილებები არ აღენიშნებოდათ. ასეთ ბავშვთა შორისაც, ორგანიზმის გამაგრება-განმტკიცებასთან ერთად, აღინიშნებოდა ერითროციტების დალექვის რეაქციის შენელება, იქ სადაც ის აჩქარებული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზებულ ბავშვთა გამოკვლევის მასალები

გამოკვლევების ჩატარების თარიღი	გამოკვლეულ ბავშვთა რაოდენობა (4—14 წლამდე)	ჰემოგლობინი					ედრ					წონა კგ-ში				
		მინიმალური მატება	საშუალო მატება	მაქსიმალური მატება	დაკლება (შემთხვევათა რაოდენობა)	უცვლელი მდგომარეობა (შემთხვევათა რაოდენობა)	მინიმალური შენელება	საშ. შენელება	მაქს. შენელება	რეაქციის აჩქარება (შემთხვევათა რაოდენობა)	უცვ. მდგომარეობა (შემთხვევათა რაოდენობა)	მინიმალური მატება	საშუალო მატება	მაქსიმალური მატება	დაკლება (შემთხვევათა რაოდენობა)	უცვლელი მდგომარეობა (შემთხვევათა რაოდენობა)
1951 წ. 20/VII-დან 21/VIII-მდე	89	4%	12%	27%	—	1	1 მმ/ს	2 მმ/ს	8 მმ/ს	—	23	0,3	2	5,5	1	1
1952 წ. 20/VII-დან 25/VIII-მდე	63	5%	13%	27%	—	4	—	—	—	—	—	1,3	2,3	3,5	1	1
1953 წ. 17/VII-დან 20/VIII-მდე	91	7%	12%	25%	—	—	1 მმ/ს	5 მმ/ს	15 მმ/ს	—	6	1	2,5	4,5	—	2
სულ	243															

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინერალური წყლები

კურორტ ლებარდეს ღირსებას და ერთ-ერთ მთავარ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მინერალური წყლები.

ლებარდეს მინერალური წყლები მიეკუთვნება ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმ-რკინიან წყლებს, რომელთა ტემპერატურა 8° აღწევს. დღე-ღამეში იმ წყაროების დებიტი, რომლებიც ექსპლოატაციაშია, 50 000 ლიტრს აღემატება. საერთოდ, მდინარე ლებარდეს ხეობაში მრავლად არის მინერალური წყლების გამოსასვლელები; 1951 წელს ჩვენ დავათვალიერეთ მდინარე ლებარდეს ხეობა ამჟამად ექსპლოატაციაში მყოფი მინერალური წყლიდან თვით მდინარის სათავემდე და 9 ადგილას აღმოვაჩინეთ მინერალური წყლის გამოსასვლელი. სამწუხაროდ, ეს ადგილები ზამთრობით ხშირად იფარება თოვლის ზვავებისაგან. მოუწყობლობის გამო ეს წყაროები ჯერ ხმარებაში არ არის.

ლებარდეს მინერალური წყლების პირველი ქიმიური ანალიზი გაკეთებულია ქიმიკოს რ. კუპცისის მიერ (ცხრილი 3). შემდეგში ამ წყლების სრული ანალიზი არაერთხელ ჩაატარა საქართველოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტმა.

ლებარდეს მინერალური წყლები დადებითად მოქმედებს მთელ რიგ დაავადებებზე. ეს წყლები, ნახშირმჟავა გაზის დიდი რაოდენობის შემცველობის გამო, სასიამოვნოა სასმელად. მისი მოქმედება უკვე პირის ღრუდან იწყება.

ცნობილია, რომ ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში შემავალი CO_2 წყალს აძლევს სასიამოვნო მომჟავო გემოს, აუმჯობესებს მადას, კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე იგი გამაღიზიანებელ მოქმედებას ახდენს და იწვევს ჰიპერემიას. ნახშირმჟავა გაზი სწრაფად შეიწოვება კუჭში და ხელს უწყობს სხვა შემადგენელი მინერალური ელემენტების შეწოვასაც. ამასთან, იგი აძლიერებს კუჭის ლორწოვანის რეფლექტორულ და სეკრეციულ მოქმედებას, მატულობს კუჭისა და ნაწლავების მოტორული ფუნქცია, ძლიერდება პერისტალტიკა. ამ წყლის გავლენით გამოწვეული ჰიპერემია ხელს უწყობს საჭმლის შეწოვას.

ლებარდეს, ჩეგოლას და კემლაკესარის წყლების ქიმიური შემადგენლობა კუპცისის მონაცემებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემადგენელი ნაწილები	ლებარდეს წყარო №1		კემლაკესარის წყარო		ჩეგოლას წყარო № 1		ჩეგოლას წყარო № 2		ჩეგოლას წყარო-„სოდის წყალი“	
	გრამ.	ეკვ. %	გრამ.	ეკვ. %	გრამ.	ეკვ. %	გრამ.	ეკვ. %	გრამ.	ეკვ. %
კათიონები:										
ნატრიუმი (Na)	0,00761	6,06	0,2575	47,89	0,064	16,61	0,2816	46,02	0,18441	32,13
კალიუმი (K)	—	—	0,02374	2,6	—	—	—	—	—	—
მაგნიუმი (Mg)	0,00989	14,88	0,01749	6,16	0,03836	18,7	0,04848	14,95	0,06217	9,67
კალციუმი (Ca)	0,07118	70,48	0,189	40,3	0,2187	64,7	0,2	37,52	0,256	57,36
ალუმინი (Al)	0,0 082	—	—	—	—	—	0,036	—	0,00169	—
რკინა (Fe)	0,0122	8,58	0,01973	3,04	—	—	0,0109	1,5	0,00031	—
	—	100%	—	99,9%	—	100%	—	100%	—	100%
ანიონები:										
ქლორი cl	0,006	3,11	0,0258	3,11	0,0419	6,99	0,0775	8,25	0,1007	12,84
სულფატები SO_4	0,00012	0,04	0,0066	0,59	0,2309	34,27	0,3832	30,13	0,3886	36,58
კარბონატები CO_3 . . .	—	—	—	—	0,3002	58,74	0,4843	61,59	0,3355	50,58
ჰიდროკარბონატები HCO_3 .	0,3214	96.84	0,375	96,28	—	—	—	—	—	—
CO_2 შეკრული	0,116	—	0,4458	—	0,2203	—	0,3587	—	0,246	—
CO_2 თავისუფალი	1.408	—	1,2385	—	0,6600	—	0,088	—	0,44	—
მკვრივი ნივთ. 14% . . .	0,285	—	1,09	—	0,4722	—	1,5366	—	1,30	—
გოგორდწყალბადი H_2S .	—	—	—	—	0,00035	—	—	—	—	—
ტემპერატურა (C)	8,5°	—	7°	—	8°	—	9°	—	9°	—
რადიაქტიური მახეს ერთ.	1,39	—	—	2,88	1,35	—	4,39	—	1,89	—
დებიტი დღე-ღამეში (ლიტ.)	25	—	25	—	17,7	—	11	—	8,6	—

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლებარდე. კოლმეურნეობათა დასასვენებელი სახლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებარდე. პოლიკლინიკა.

ნახშირმჟავა გაზი ხელს უწყობს წყლის შეწოვას, აძლიერებს დიურეზს და ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფას.

ნახშირმჟავა მინერალური წყლების ეს დახასიათება პირდაპირ ემთხვევა ლებარდეს მინერალური წყლების თვისებებს და მოქმედებას, მაგრამ ლებარდეს მინერალური წყლები, გარდა ამისა, შეიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც თავისთავად დადებითად მოქმედებენ ადამიანის ცალკეულ ორგანოებზე და ქსოვილებზე და აქტივებენ მათ.

ლებარდეს მინერალურ წყალს სიამოვნებით ღებულობს დამსვენებელი საკმაო რაოდენობით (1—2 ლიტრამდე და მეტსაც). როგორც ცნობილია, წყლის დიდი რაოდენობით მიღება (1,5-დან 2 ლიტრამდე და მეტი), და კერძოდ, ისეთი დაბალი ტემპერატურის წყლისა, როგორიც ლებარდეს მინერალური წყალია, იწვევს ნაწლავების პერისტალტიკის გაძლიერებას და საფაღარათო მოქმედებას, რასაც, რა თქმა უნდა, გარკვეული დადებითი გავლენა აქვს ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში. ლებარდეს მინერალური წყლის ამ მოქმედებას ხშირად აღნიშნავენ დამსვენებლები.

ცნობილია, რომ წარსულში ექიმები თითქმის ყველა დაავადების შემთხვევაში პირველ რიგში მიმართავდნენ საფაღარათო საშუალებათა მიცემას და ამით კუჭ-ნაწლავის გასუფთავებას შიგთავსისაგან, და მხოლოდ შემდეგ უნიშნავდნენ ავადმყოფს ძირითად სამკურნალო საშუალებებს. მართალია, თანამედროვე მედიცინა ამ მეთოდს ძველებური გატაცებით აღარ იყენებს, მაგრამ ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. სწორედ ასევე, ლებარდეს მინერალური წყალი დადებითად მოქმედებს იმ ადამიანებზე, რომელთაც კუჭ-ნაწლავის ატონია, და საერთოდ მოტორული მოშლა (ყაბზობა), აქვთ.

პოლიკლინიკური მასალების (ცხრილი 4) მიხედვით, 10 წლის განმავლობაში ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ გაიარა 210 კუჭ-ნაწლავით დაავადებულმა. აქედან 37 ჰქონდა ნაწლავების მოტორული ფუნქციის მოშლა (ყაბზობა). მათ შორის უმრავ-

K65.074
მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ლესობას კუჭის მოქმედება ჰქონდა მეხუთე-მეექვსე დღეს. ლებარდეს მინერალური წყლის მიღების დაწყებიდან 2—3 დღის შემდეგ ავადმყოფთა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. შესამჩნევად გაჯანსაღებული დაბრუნდა კურორტიდან 37-დან 34 ავადმყოფი (92%), ხოლო 3 შემთხვევაში სამკურნალო ეფექტი არ იქნა მიღებული, რაც გამოწვეული იყო მათი გულის ავადმყოფური მდგომარეობით (მინერალურ წყალს საკმაო რაოდენობით ვერ ღებულობდნენ გულის გადატვირთვის გამო).

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამ წყლისათვის შეგვედარებია ზოგიერთი საფაღარათო პრეპარატი, მაგალითად, პურგენი, საფაღარათო ზეთი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ლებარდეს მინერალური წყალი უფრო აქტიურ მოქმედებას იჩენს, ვიდრე დასახელებული პრეპარატები.

მედიცინაში ცნობილია, რომ ორნახშირმჟავა კალციუმი ხსნის ლორწოს, რომელიც დიდი რაოდენობით გამოიყოფა კუჭის კატარის დროს, ასუფთავებს კუჭის ლორწოვან გარსს, რის შედეგადაც მატულობს ნახშირმჟავა გაზის გამაღიზიანებელი მოქმედება კუჭის ლორწოვანზე და ძლიერდება კუჭის წვენის სეკრეცია, უმჯობესდება საჭმლის გადამუშავება და ხდება კუჭის ფუნქციური გააქტივება.

ლებარდეს მინერალური წყალი ააქტივებს კუჭის მოქმედებას, იწვევს სეკრეციის გაძლიერებას და ხელს უწყობს საჭმლის გადამუშავებას; ამას ადასტურებს პოლიკლინიკური მასალებიც. მაგალითად, ავადმყ. ი. ს. (გეგეჭკორის რაიონიდან). 1951 წელს გაუკეთდა თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის ოპერაცია. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფს ჰქონდა სრული აქილია (კუჭის წვენის მჟავობა უდრიდა 0). იგი საჭმელს ვერ ჭამდა, ჰქონდა საშინელი ტკივილი საჭმლის მიღების შემდეგ, საჭმლის გადამუშავება არ ხდებოდა კუჭში. ასეთი ჩივილებით მოვიდა ავადმყოფი ლებარდეში სამკურნალოდ.

ლებარდეში იგი ჩვენი დარიგების მიხედვით ღებულობდა მხოლოდ მინერალურ წყალს, ყოველგვარი სხვა დამხმარე მედიკამენტური საშუალებების გარეშე. მინერალური წყლით მკურნალობის მესამე დღეს ავადმყოფის მდგომარეობა გაუმ-

დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთა რაოდენობა დაავადებათა სახეების მიხედვით

დაავადებათა სახეები	1944 წ.	1945 წ.	1946 წ.	1947 წ.	1948 წ.	1949 წ.	1950 წ.	1951 წ.	1952 წ.	1953 წ.	სულ
1. გულისა და სისხლძარღვთა დაავადებანი	12	13	15	10	22	20	24	70	35	141	362
2. ფილტვის ტუბერკულოზი და ბრონქოადენიტები	4	9	10	15	20	6	26	36	27	36	189
3. კუჭ-ნაწლავის სნეულებანი	3	5	6	12	18	10	26	49	24	57	210
4. ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადებანი	—	2	3	6	7	8	14	27	20	16	103
5. თირკმლებისა და შარდსადინარი გზების დაავად.	2	3	2	8	7	14	9	17	6	4	72
6. პირველადი და მეორადი ანემიები	—	7	6	11	15	1	10	17	13	26	116
7. სველი პლევრიტები და პოლისეროზიტები	3	2	5	2	13	2	8	11	9	23	78
8. ძვალ-სახსართა და ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი	—	1	1	2	2	3	7	11	5	21	53
9. კანის სნეულება	1	—	3	1	8	4	3	10	8	4	42
10. ფილტვების არასპეციფიკური დაავადებანი	3	6	5	11	10	4	6	13	9	11	78
11. მალარია	9	13	16	11	12	—	7	6	3	2	79
12. სხვა დაავადებანი: ყელის, თვალის, რევმატ. დაავადებანი, დიაბეტი, ნერვ. სნეულებანი	—	—	17	23	34	8	9	13	15	134	253

ჯობესდა, ტკივილები თანდათან შეუნელდა, აღდგა კუჭში საჭმლის მონელების უნარი, ავადმყოფმა ლებარდეში დაჰყო 30 დღე და შესამჩნევად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში ლაბრუნდა უკან. მას შემდეგ ავადმყოფს კუჭის მხრივ ჩივილები არა აქვს, ამჟამად იგი სავსებით შრომისუნარიანია.

ასეთი დადებითი შედეგი მივიღეთ ჩვენ ლებარდეში, კუჭის ქრონიკული კატარისა და კუჭ-ნაწლავთა ატონიის შემთხვევათა 94%-ში. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შედეგს არ გვაძლევს ლებარდე იმ შემთხვევაში, თუ კატარი მიმდინარეობს გაძლიერებული მჟავობით, ანდა საქმე გვაქვს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულთან. თუმცა აღნიშნულ შემთხვევებშიც არ ჰქონია ადგილი გაუარესებას, თუ ავადმყოფი მინერალურ წყალს იღებდა დანიშნულების და წესის მიხედვით (გამთბარი სახით, ჭამის წინ ერთი საათით ადრე).

სხვადასხვა ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული წყლების მოქმედება კუჭის ფუნქციებზე საკმარისად არის შესწავლილი საბჭოთა მეცნიერთა მიერ. კერძოდ, დიდი მუშაობაა ჩატარებული (ა. ალადაშვილი, მ. ტყემალაძე, მ. ნოდია, ა. გრიგოლია, მ. ლეჟავა, ა. გერსამია და მრავალი სხვ.) საქართველოს წყლების (ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე, ავადხარა, უწერა, შოვი და სხვ.) შესასწავლად. აღნიშნულ დაკვირვებათა შედეგად დადგენილია, რომ ჰიდროკარბონატული ნახშირმჟავა წყლები, მიღებული უზმოზე 1—1½ საათით ადრე ჭამის წინ, აქვეითებს კუჭის წვენის გამოყოფას, მაგრამ თუ ამავე წყალს შევიყვანთ კუჭში საჭმელთან ერთად, მაშინ ის კუჭის სეკრეციას აძლიერებს.

თუ კუჭის ლორწოვან კატართან ერთად გაძლიერებულია მისი სეკრეცია—მომატებულია კუჭის წვენის მჟავობა, მაშინ მინერალური წყალი უნდა განთავისუფლდეს ნახშირმჟავა გაზისაგან და უნდა მიეცეს ავადმყოფს გამთბარი სახით 1—1½ საათით ადრე ჭამის წინ.

მინერალური წყლების მიღების ეს წესი ლებარდეს წყლით მკურნალობის დროს ზუსტად უნდა დაიცვას ყველა ავადმყოფმა, რომელიც დაავადებულია კუჭის ქრონიკული კატარით.

საერთოდ, მინერალური წყლები, რომლებიც დიდი რაოდე-

ნობით შეიცავენ ნახშირმჟავა გაზს, ხშირად იწვევენ მუცლის ბერვას. მიუხედავად იმისა, რომ ლებარდეს მინერალური წყალი საკმაო რაოდენობით შეიცავს ნახშირმჟავა გაზს, იგი არ იწვევს მუცლის ბერვას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას დიდი რაოდენობით ღებულობენ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, როდესაც კუჭის კატარი მიმდინარეობს გაძლიერებული ბეჟავობით.

ლებარდეს მინერალური წყლის მეორე თავისებურება ისაა, რომ იგი იწვევს ხშირ შარდვას და შარდის რაოდენობის მომატებას. ეს მდგომარეობა გამოწვეულია ერთი მხრივ იმით, რომ ადგილი აქვს წყლის დიდი რაოდენობით მიღებას, მეორე მხრივ კი იმით, რომ ლებარდეს მინერალურ წყალში არის კალციუმი და ნახშირმჟავა გაზი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენადმე აძლიერებს დიურეზს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფას. შარდის ბუშტისა და შარდსადენი გზების ქრონიკული ანთებითი პროცესების დროს ლებარდეს მინერალური წყალი, გაძლიერებული დიურეზული მოქმედებით, იწვევს მის მექანიკურ გამორეცხვას, გასუფთავებას და, როგორც ფიქრობენ, კენჭოვანი დაავადების შემთხვევებში კენჭების გამოგდებასაც კი. სხვათა შორის, ლებარდეს მინერალური წყალი ლადებითად მოქმედებს შარდსადენი გზების ქრონიკული ანთების შემთხვევაში, თუ დაავადება არ არის ტუბერკულოზური ეტიოლოგიის. ჩვენ გვაქვს ასეთი 72 შემთხვევა, აქედან 7—კენჭოვანი დაავადების, 47—შარდის ბუშტისა და შარდსადინარის ქრონიკული ანთების და 18—ქრონიკული ნეფროზონეფრიტების მსუბუქი ფორმების. აქედან 85%-ში მიღებულია შესაშჩნევი გაუმჯობესება და განკურნება, ხოლო 15%-ში მდგომარეობის შედარებით გაუარესებას ჰქონდა ადგილი. გაუარესებას ადგილი ჰქონდა უფრო მეტად შარდის ბუშტისა და შარდსადინარის ანთების შემთხვევებში, როდესაც ანთებას ქვემწვავე მიმდინარეობა ახასიათებდა, განსაკუთრებით ტემპერატურის მომატებით 37—37,5°-მდე.

1953 წელს ერთ-ერთი დამსვენებელი (თბილისიდან) შეიაბეჭდილებათა წიგნში მოგვითხრობს, რომ ის იყო დაავადებუ-

ლი შარდსადინარი გზების კენჭოვანი დაავადებით; ორჯერ გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ კენჭი ისევ უჩნდებოდა. ლებარდეში მოსვლის პირველ პერიოდში ჰქონდა შემაწუხებელი ხასიათის ტკივილი. კურორტზე ჩამოსვლისა და მინერალური წყლის მიღების ერთი კვირის შემდეგ შესამჩნევი გაუმჯობესება იგრძნო, ტკივილი დაუწყნარდა და შარდსადინარის მხრივ ჩივილები თითქმის აღარ აქვს.

რა თქმა უნდა, ამ საკითხზე ჩვენი დაკვირვება საკმაო არაა, მაგრამ უდავოა, რომ ლებარდეს მინერალურ წყალს გარკვეული სამკურნალო მნიშვნელობა აქვს მთელ რიგ უროლოგიურ დაავადებათა შემთხვევებში.

კურორტ ლებარდეს სამკურნალო მოქმედებას ორგანიზმზე აძლიერებს ადგილობრივ მინერალურ წყალში შემავალი რკინა. ამ წყლის მოქმედებით უმჯობესდება სისხლის სურათი— მატულობს ჰემოგლობინის რაოდენობა და ერითროციტების რიცხობრივი მაჩვენებლები (ცხრილი 5). ლებარდეს მინერალური წყალი კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა მეორადი ანემიების დროს.

ცხრილი 5

დაკვირვების ქვეშ მყოფი ავადმყოფები—მეორადი ანემიით (1953 წელს ჩატარებული გამოკვლევის მასალებიდან)

ავადმყოფთა რაოდენობა	ჰემოგლობინი					ერითროციტების რიცხობრ. მაჩვენებლები		
	უცვლელი მდგომარეობა	მატება				უცვლელი მდგომარეობა	მატება		
		5—10%-მდე	10—15%-მდე	15—20%-მდე	20%-ზე ზევით		500 000-მდე	1 000 000-მდე	1 500 000-მდე
36	1	5	8	13	9	—	6	18	12

ანემიურ და დაუძლურებულ ავადმყოფთა შორის იყვნენ მძიმე ფორმებით დაავადებულებიც, რომლებიც განიკურნენ ლებარდეს გამაჯანსაღებელი ფაქტორების გავლენით. მაგალითად, ავადმყ. ჯ. ხ. ხ., 30 წლის, ქართველი, მოსამსახურე (გეგეჭ-

კორის რაიონიდან). ავადმყოფობა დაეწყო 1949 წელს; პირველ ხანებში მკურნალობდა გეგეჭკორის რაიპოლიკლინიკაში, ამბულატორიულად. გამოკვლევით—ანემია გამოწვეული იყო ანკილოსტომიაზით. ავადმყოფი მოთავსებულ იქნა რაიონულ საავადმყოფოში, დიდხანს მკურნალობდა იქ, მაგრამ მისი ზოგადი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ დეჰელმინთიზაცია არ მოხერხდა. ჰემოგლობინი სისხლში იყო 18%, გულის მხრივ აღენიშნებოდა ფუნქციური უკმარისობა. რკინის პრეპარატებმა სამკურნალო შედეგი არ მოგვცა. ავადმყოფს ურჩევა მივეცით მიემართა ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში. მაგრამ ამ დროს ლებარდეს საკურორტო სეზონიც მოახლოვდა და ავადმყოფმა გადაწყვიტა ლებარდეში წასვლა. იგი იმდენად იყო დაუძლურებული, რომ ძლივს დადიოდა და მცირე ფიზიკური დატვირთვისთანავე ქოშინი ეწყებოდა. ლებარდეში მას რაიმე მედიკამენტური საშუალება არ უხმარია, პირველ ხანებში ღებულობდა ლებარდეს მინერალურ წყალს დღეში 1/2 ლიტრამდე, რადგან მისი გული მეტს ვერ იტანდა; ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა, შეეცვალა სახის ფერი, ორი კვირის შემდეგ მან შეძლო 1 1/2 ლიტრამდე წყლის მიღება, მადა მოემატა. ავადმყოფის საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა, სისხლში ჰემოგლობინმა მოიმატა 48%-მდე, წონაში მოიმატა 4 კილოგრამი. ავადმყოფს შესაძლებლობა მიეცა ჩაეტარებინა დეჰელმინთიზაცია. შემდეგში სამი წლის განმავლობაში იგი სისტემატურად დადიოდა ლებარდეში და განიკურნა. ამჟამად იგი სავსებით შრომისუნარიანია.

ფაქტიური მასალა და დაკვირვებათა შედეგები გვიჩვენებს, რომ ლებარდეს მინერალურ წყალს სამკურნალო მნიშვნელობა აქვს მთელ რიგ სხვა დაავადებათა შემთხვევებშიც, როგორიც არის, მაგალითად, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და ნაღვლის სადინარი გზების დაავადება, კანის ზოგიერთი დაავადება და სხვ.

მოგვყავს ერთი შემთხვევა. ავადმყ. ი. პ. კ., მასწავლებელი. (გეგეჭკორის რაიონიდან). ჩივილები—მარჯვენა წვივის შიგნითა არეში კანის ეგზემა და სახის ნერვის ტკივილი და ციმციმი. 3 წლის განმავლობაში მკურნალობდა ექიმებთან, მაგრამ უშედეგოდ. მედიკამენტურმა საშუალებებმა შედეგი არ გამოიღო.

სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოვიდა ლებარდეში. აწარმოებდა დაავადებული ადგილების მობანას მინერალური წყლით და დაზელას დღეში 2—3-ჯერ. პროცედურის დაწყებას პირველი დღიდანვე ავადმყოფმა იგრძნო უკეთესობა, ერთი კვირის განმავლობაში განიკურნა. მას შემდეგ სამმა წელმა განვლო და რეციდივს ადგილი არ ჰქონია.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლებარდეს ტერიტორიაზე არის ერთგვარი სარეველა მცენარე, რომლის ზოგიერთ ჯიშს აქვს შხამიანი ბუსუსები. ამ ბუსუსებით კანის დასუსხვა იწვევს კანის ჩირქოვან ანთებას; ასეთი შემთხვევები ლებარდეში არაიშვიათია, განსაკუთრებით ბავშვებს შორის. ამ უკანასკნელთა სამკურნალოდ მშობლებს რჩევას ვაძლევდით ხელ-ფეხი და პირი ბავშვებისათვის ებანათ ოდნავ შემთბარი მინერალური წყლით; აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონისძიების შედეგად კანის ჩირქოვანი ანთებითი პროცესი მალე ცხრება.

ლებარდეს მინერალურ წყალს სხვა ბევრი დადებითი სამკურნალო თვისებაც აქვს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. თუმცა ლებარდეში დღემდე არ არის მოწყობილი სათანადო ბალნეოლოგიური დანადგარები, დამსვენებლები მაინც ფართოდ მიმართავენ მასაჟებს და აბაზანების გაკეთებას მინერალური წყლით. ბევრი მათგანი აღნიშნავს ასეთი პროცედურების დადებით ზეგავლენას ორგანიზმზე.

№ 1, 2 და 3 მინერალური წყაროების ახლოს გამოდის ამავე ჯგუფის, მაგრამ უფრო დაბალი მინერალიზაციის წყალი, რომელიც არ შეიცავს ნახშირმჟავა გაზს. ამ წყალს ხალხმა „თვალის წყალი“ შეარქვა. „თვალის წყლით“ იბანენ თვალებს, თავსა და პირისახეს. აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში ასეთი პროცედურები კარგად მოქმედებს მხედველობაზე, განსაკუთრებით მოხუცებულთა შორის. დადებით შედეგს იძლევა ეს წყალი აგრეთვე თავის ტკივილის დროს. „თვალის წყლის“ შემადგენლობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი. შეიძლება მასში შემავალი ქიმიური ელემენტები დადებითად მოქმედებდეს მხედველობის ნერვზე და საერთოდ ნერვულ სისტემაზე; მაგრამ შესაძლებელია მოხუცებულთა მხედველობის გაუმჯობესება გაპირობებული

იყოს ორგანიზმის საერთო გაძლიერებით და ფუნქციური გააქ-
ტივებით, რასაც ხელს უწყობს ლებარდეს კლიმატისა და სხვა
სამკურნალო ფაქტორების დადებითი ზემოქმედება. ამრიგად,
როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ლებარდეს მინერალური
წყლები გარკვეულ დადებით შედეგებს იძლევა არა მარტო
შიგნით მიღებისას, არამედ გარეგანი გამოყენებითაც.

გავრცელებულია აზრი, რომელსაც ზოგიერთი ექიმიც
იზიარებს, რომ ლებარდეს მინერალურ წყალს აქვს პარაზიტუ-
ლი ჭიების საწინააღმდეგო მოქმედების თვისება. ლებარდეში
ყოველწლიურად მრავალი ბავშვი ჩადის (დამსვენებელთა სა-
ერთო რაოდენობის 30—40%). დამსვენებლები აღნიშნავენ,
რომ მართლაც მასობრივად აქვს ადგილი ბავშვების მიერ
მრგვალი და ბრტყელი ჭიების დაყრას. ჩვენ ვფიქრობთ, ეს
მდგომარეობა იმითაა გამოწვეული, რომ ლებარდეს მინერა-
ლურ წყალს აქვს თვისება გააძლიეროს ნაწლავთა პერისტალ-
ტიკა, ხოლო ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს ჭიების მექანი-
კურ გამოდევნას ნაწლავებიდან. აღნიშნული მოვლენის სხვა-
გვარად ახსნა არ შეიძლება, რადგან ლებარდეს მინერალური
წყალი, როგორც მისი ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, არ შეი-
ცავს ჭიის საწინააღმდეგო ქიმიურ ნივთიერებებს.

ლებარდეს მინერალური წყლის მიღების წესი (მეთოდი)

ლებარდეს მინერალური წყლის მიღების ერთჯერადი და სა-
დღეღამისო დოზა ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად დადგე-
ნილი. ამიტომ დამსვენებლები ხშირად თავისი სურვილისა და
გემოვნების მიხედვით ღებულობენ მას.

ცხადია, ამან, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება არა მა-
ტო შეამციროს ლებარდეს მინერალური წყლის სამკურნალო
ეფექტი, არამედ მძიმე შედეგებიც გამოიწვიოს. მაგალითად,
1947 წელს ერთმა დამსვენებელმა ერთ დღეს 14 ლიტრი მინე-
რალური წყალი მიიღო. ამან, რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმე-
და მასზე და ძლივს გადარჩა სიკვდილს. ასეთი დიდი რაოდე-
ნობით, არა თუ მინერალური წყლის, არამედ მტკნარი სასმელი
წყლის მიღებაც კი მავნებელია, რადგან, ჯერ ერთი, წყლის ეს
რაოდენობა სისხლის ცირკულაციაში უნდა მოექცეს, შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოს ორგანიზმმა, რასაც მოყვება გულის ძალზე გაფა-
ტვირთვა. მეორეც, ლებარდეს წყალი დაბალი ტემპერატური-
საა, ამიტომ წყლის აღნიშნულმა რაოდენობამ შეიძლება გამო-
იწვიოს ორგანიზმის გადაცივება. ამასთან, როგორც ვიცით,
მასში გარკვეული რაოდენობით მოიპოვება მთელი რიგი ქი-
მიურად აქტიური ნივთიერებები, რომელთა სიჭარბე ორგა-
ნიზმში უარყოფით გავლენას ახდენს ცალკეული ორგანოების
ფუნქციურ მდგომარეობაზე და შეიძლება ადამიანის მოშხამ-
ვაც გამოიწვიოს.

ამიტომ საჭიროა ექიმის კონსულტაცია მინერალური წყლის
მიღების შესახებ.

სხვადასხვა დაავადებათა შემთხვევებში წყლის მიღების
რაოდენობა სხვადასხვაა. ამავე დროს, როგორც დაკვირვებით
ვრწმუნდებით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, სად
ღებულობს ავადმყოფი წყალს—ადგილზე (წყაროსთან), თუ
სახლში წაღებულს, და როდის ღებულობს მას—ჭამის წინ თუ
შემდეგ.

ათი წლის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვებების სა-
ფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ ლებარდეს წყლის მიღების
წესი.

ლებარდეს მინერალური წყალი დადებითად მოქ-
მედებს მეორად ანემიაზე, ქრონიკულ გასტრიტებზე —
უმთავრესად სეკრეციის დაქვეითების შემთხვევებში (კუჭის
წვენის მჟავობის დაქვეითებით), ქრონიკულ კოლიტებზე, ნაწ-
ლავების მოტორული ფუნქციის მოშლაზე ყაბზობის მოვლენე-
ბით და ღვიძლისა და ნაღვლის სადინარი გზების ქრონიკულ-
ანთებაზე. იგი დადებითად მოქმედებს აგრეთვე შარდის ბუშ-
ტისა და შარდსადინარი გზების ქრონიკულ ანთებებზე.

ლებარდეს მინერალური წყალი ხელს უწყობს ორგანიზმი-
დან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფას. მინერა-
ლური წყალი ერთდროულად შეიძლება მიღებულ იქნეს 100—
200 მილილიტრი—½—1 ჭიქა, დღეში კი ½—1—2 ლიტრამდე.
წყლის მიღება უნდა იყოს დაკავშირებული საჭმლის მიღებას-
თან, კუჭის წვენის მჟავობის მიხედვით.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ლებარდეს მინერალური წყალი უარყოფით გავლენას ახდენს ყელისა და ხორხის დაავადებებზე (დაბალი ტემპერატურის გამო).

მზის სხივები

ლებარდეში მზის სხივებით მკურნალობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მართალია, კურორტს ჯერ კიდევ არ აქვს სპეციალური სოლარიუმები, მაგრამ ავადმყოფები და დამსვენებლები მაინც ფართოდ იღებენ მზის აბაზანებს ექიმის სათანადო რჩევა-დარიგების მიხედვით.

ლებარდეში მზის რადიაცია ძლიერია, ძლიერია ულტრაიისფერი სხივების მოქმედება, რადგან, როგორც ცნობილია, მზის სხივებს, განსაკუთრებით ულტრაიისფერ სხივებს, ჰაერი არ ატარებს, თუ იგი შეიცავს წყლის ორთქლს და მტვერს. ლებარდეს ჰაერი მშრალია და მტვრისაგან თავისუფალი, რაც ხელს უწყობს მზის მდიდარ რადიაციას და აძლიერებს მის მოქმედებას.

მოგვყავს ადამიანის ორგანიზმზე ლებარდეში მზის სხივების დადებითი ზემოქმედების რამდენიმე შემთხვევა.

1945—46 წლებში ლებარდეში მკურნალობდა ავადმყოფი ნ. ო. ვ., 7 წლის (გეგეჭკორის რაიონიდან). მას ჰქონდა გულმკერდის მე-7—8 მალების ტუბერკულოზი; ავადმყოფი ექიმის დარიგებით ლებულობდა მზის აბაზანებს. მზის სხივებმა და ლებარდეს სხვა სამკურნალო ფაქტორებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს ბავშვის მდგომარეობა. ამჟამად ბავშვი კარგად არის; აქვს მხოლოდ ნარჩენი მოვლენები მსუბუქი კიფოზის სახით.

ავადმყოფი რ. ბ. კ., 56 წლის (წულუკიძის რაიონიდან). 1934 წელს დაავადდა მარტვენა მუხლის სახსრისა და მეზენტერიული ჯირკვლების ტუბერკულოზით. როგორც მკურნალმა ექიმმა გადმოგვცა, ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი ექიმის დანიშნულებით ლებულობდა მზის აბაზანებს, 4 წლის განმავლობაში სისტემატურად მკურნალობდა ლებარდეში და განიკურნა.

ლებარდეს სამკურნალო გავლენა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე

მთის კლიმატი ორგანიზმზე მოქმედებს როგორც კანის საშუალებით, ისე სასუნთქი გზებით, იწვევს შინაგანი ორგანოების ფუნქციის გაძლიერებას, ამასთან, გავლენას ახდენს ავადმყოფის ფსიქიკაზე.

მთის კლიმატი გამაღიზიანებლად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე, იწვევს მის აგზნებას, გადაჰყავს იგი ფუნქციურად აქტიურ მდგომარეობაში. ამასთან, იგი ორგანიზმს უყენებს გაძლიერებულ მოთხოვნებს. იმისათვის, რომ ორგანიზმმა შესძლოს ამ მოთხოვნებთან შეგუება, მას უნდა გააჩნდეს ერთგვარი მარაგი, ძალა და რეაქტიულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მთის კლიმატმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მასზე, პირველ რიგში გულზე. როგორც ვიცით, გულის მუშაობა ძნიშვნელოვნად გაპირობებულია სხვა ორგანოების, მაგალითად, ფილტვების, ღვიძლის, თირკმლების და სხვათა ფუნქციური მდგომარეობით. ამიტომ გულის დაავადების შემთხვევაში ისეთ სამკურნალო ღონისძიებებს ეძლევა უპირატესობა, რომლებიც ამავე დროს დადებით ზეგავლენას მოახდენენ ღვიძლის, თირკმლების და სხვა ორგანოების ფუნქციებზე.

ალსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი თვისებები ახასიათებს ლებარდეს სამკურნალო ფაქტორებს. ლებარდეს კლიმატი და მინერალური წყალი სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს ფილტვებზე, ღვიძლზე და თირკმლებზე, იწვევს მათ ფუნქციურ გააქტივებას. ეს მდგომარეობა, უდავოა, თავის მხრივ კეთილსასურველ გავლენას ახდენს დაავადებული გულის მუშაობაზე, აძლევს შესაძლებლობას შეეგუოს მთის კლიმატურ პირობებს. სწორედ ამითაც უნდა ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ გულით დაავადებულები დიდი რაოდენობით ჩამოდიან დასასვენებლად და სამკურნალოდ ლებარდეში და, თუმცა გული საერთოდ განსაკუთრებით მგრძნობიარეა მთის მკაცრი კლიმატის მიმართ, ლებარდეში ეს ავადმყოფები კარგად გრძნობენ თავს.

ლებარდეს სამკურნალო ფაქტორების გავლენით გულ-სისხლძარღვთა სისტემა მაგრდება. ამის დამადასტურებელი

ბევრი შემთხვევაა აღრიცხული ლებარდეს პოლიკლინიკაში. მდიდარი მასალა აქვს აგრეთვე ამ მხრივ რესპუბლიკის დაძსახურებულ ექიმს ბ. კ. გობეჩიას.

კურორტ ლებარდეს დადებითი გავლენა გულით დაავადებულებზე უნდა ავხსნათ შემდეგი მიზეზებით: 1) ლებარდეს კლიმატზე გავლენას ახდენს ზღვის ჰავა, რომელიც არბილებს მთის მკაცრ კლიმატს და ამდენად ადვილად ასატანს ხდის ძალ დაავადებული გულისათვის; ლებარდეს ჰავას ზომიერი გამაღიზიანებელი მოქმედება ახასიათებს; 2) ლებარდეს მინერალური წყალი დადებითად მოქმედებს იმ ორგანოებზე, რომელთა ფუნქციური გააქტივება ხელს უწყობს გულის ნორმალურ მუშაობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლებარდეს მინერალური წყალი თავისი დიურეზული მოქმედებით იწვევს ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებისა და დაგროვილი შხამების გამოყოფის გაძლიერებას. ეს კი დადებით გავლენას ახდენს გულის მუშაობაზე. ცხადია, ამით უნდა აიხსნას, რომ ლებარდეში ჩამოსულ დამსვენებელთა შორის ბევრია გულით დაავადებული. პოლიკლინიკის მასალების მიხედვით, 1953 წელს რეგისტრირებული იყო და დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 141 გულით ავადმყოფი. აქედან 16 (11,3%) იყო გულის მანკით დაავადებული; გულის დაავადებასთან ერთად ჰიპერტონიული დაავადება (მაქსიმალური წნევა 230/190 მმ) ჰქონდა 21 ავადმყოფს (14,1%), ხოლო სისხლის დაბალი წნევა (ჰიპოტონია)—23 ავადმყოფს (16,3%). გულით დაავადებულთა შორის ლებარდეში იყვნენ და მკურნალობდნენ არა მარტო კომპენსაციის მდგომარეობაში, არამედ სუბკომპენსაციის ფაზაში მყოფნიც.

მაგალითად, ავადმყოფი ძ. გ. ა., 37 წლის, გეგეჭკორის რაიონიდან (1946 წლის შემთხვევა). დიაგნოზი—გულის მანკი სუბკომპენსაციის ფაზაში. ავადმყოფობა დაეწყო 1946 წლის მარტის თვეში, აბორტის შემდეგ, სისხლის მოწამვლის ნიადაგზე. ავადმყოფი ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იწვა სიცხიან მდგომარეობაში. ლებარდეში ჩასვლის პირველ პერიოდში ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა მძიმე იყო. ობიექტური მონაცემები: ავადმყოფი ძალზე ნერვიულობდა,

ჰქონდა ქოშინი; სახეზე, ტუჩებზე და ხელის თითებზე ემჩნეოდა ანოქსემიის ნიშნები. ქვემო კიდურები მცირედ შეშუპებული ჰქონდა. გულის საზღვარი მარცხნივ მცირედ გადიდებული, ტონები არასუფთა, გულის მწვერვალზე ნაზი შუილი, მაჯა ძაფისებრი და არიტმიული. ფილტვებში პათოლოგიური ცვლილებები არ იყო. სხვა ორგანოების მხრივაც გასინჯვით პათოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნებოდა. ავადმყოფს ადგილზე აღმოვუჩინეთ პირველი დახმარება და ვურჩიეთ იმავე დღეს წასულიყო ლებარდედან, გამოვდიოდით რა იქიდან, რომ მაღალი მთის ჰაერი საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია გულით დაავადებულთათვის. მაგრამ იგი არ დათანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა და სულ მალე მან თვითონ შეძლო მინერალურ წყალთან მისვლა და მისი მიღება. ავადმყოფი ერთ თვეზე მეტხანს დარჩა ლებარდეში და შესამჩნევად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში დაბრუნდა უკან. მას შემდეგ თითქმის 5 წლის განმავლობაში სისტემატურად დადიოდა ლებარდეში, განიკურნა და ამჟამად სავსებით შრომისუნარიანია.

მეორე შემთხვევა. ავადმყოფი მ. ი. ხ., 85 წლის ზუგდიდიდან (1951 წლის შემთხვევა) (ამ ავადმყოფს ჩვენთან ერთად მურნალობას და მეთვალყურეობას უწევდა რესპ. დამსახ. ექიმი მ. კ. გობეჩია).

დიაგნოზი—კარდიოსკლეროზი, კორონარულ სისხლძარღვთა სკლეროზი, არტერიოსკლეროზი, ჰიპერტონია—სისხლის მაქსიმალური წნევა 200/210 მმ (სუბკომპენსაციის ფაზაში) ქრონიკული ნეფროზონეფრიტი, შარდის ბუშტისა და შარდსადინარის ქრონიკული ანთება (თბილისის ც. კ. ინსტ. დიაგნოზი). როგორც ავადმყოფი თავის ანამნეზურ ცნობებში აღნიშნავს, უჩივის დროდადრო შეტევითი ხასიათის გულის სისუსტეს, აქვს თავის ტკივილი, თავბრუ, უძილობა, შარდვის გაძნელება და წვა, კიდურებისა და სახის შეშუპება, მოძრაობის დროს ქოშინი. ავადმყოფობა დაწყებია 3 წლის წინათ, მკურნალობდა ზუგდიდში, სოხუმში და თბილისში, მაგრამ მედიკამენტური

მკურნალობით შედეგი ვერ მიუღია. მიუხედავად ექიმთა ერთ-ნააღმდეგი რჩევისა, გადაწყვიტა ლებარდეში წასვლა და მკურ-ნალობა.

ობიექტური მონაცემებით—გულის საზღვარი დიფუზურად გადიდებული; მოსმენით—გულის ტონები არასუფთა, ყოველ მე-5—6 ცემაზე გამოვარდნა, მაჯა დაჭიმული, სისხლის წნევა 210/110 მმ. მოსმენით—ფილტვებში ემფიზემისა და ბრონქი-ტის მოვლენები. მუცლის არე პალპაციით მტკივნეული (ეპიგას-ტრიუმისა და შარდის ბუშტის საპროექციო არე). ისინჯება ღვიძლი და ელენთა მომკვრივო კონსისტენციის, უმტკივ-ნეული.

შარდის ლაბორატორიული გამოკვლევით მივიღეთ ასეთი სურათი: ხვედრითი წონა 1030, ცილა 0,066 ‰, შაქარი არ არის, ნალექში სისხლის ფორმიანი ელემენტები საკმაო რაოდენო-ბით—როგორც შეუცვლელი, ისე შეცვლილი, მარილები დიდი რაოდენობით.

ავადმყოფს დაენიშნა მედიკამენტოზური მკურნალობა და მიეცა რჩევა მიეღო მინერალური წყალი ერთ ლიტრამდე დღე-ში, მაგრამ არა ადგილზე, არამედ წყლის ამოღების 10—15 წუთის შემდეგ. ავადმყოფი სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც შემდეგ განაცხადა, მას არც ერთი გამოწერილი მედიკამენტი არ უხმარია.

ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. მან შესამჩნევი გაუმჯობესება იგრძნო, თვენახევარი დაჰყო ლებარდეში. წასვლისას ავადმყოფს სისხლის წნევა ჰქონდა 162/65 მმ; წონაში მოიმატა 2 კგ. შარდში ცილა იყო ნიშნის სახით. დაბრუნდა შესამჩნევად გაუმჯობესებულ მდგომარეო-ბაში.

ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის ლებარდეში. ჩვენ შეგვიძლია ათეული ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ, მაგრამ აღ-ნიშნულიც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ლებარ-დეს სამკურნალო ფაქტორების დადებით გავლენაზე გულის ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ გვქონდა ერთეული შემთხვევები, როდესაც გულის მდგომარეობა შედარებით გაუარესდა. ეს მოვლენა უფრო მეტად აღინიშნებოდა რევმატიზმით დაავადებულთა შორის.

ფილტვიხა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი

მედიცინა დიდი ხანია იცნობს მთის კლიმატის სამკურნალო მნიშვნელობას ფილტვის დაავადებების და კერძოდ, ფილტვის ტუბერკულოზის შემთხვევაში.

მთის სუფთა, მშრალი ჰაერი, მზის სხივების გაძლიერებული რადიაცია, რომლითაც ხასიათდება მთის ჰაერი, სამკურნალო გავლენას ახდენს ფილტვის დაავადებებზე.

ლებარდეს მთის კლიმატისა და სხვა სამკურნალო ფაქტორების დადებითი გავლენა ფილტვის დაავადებათა შემთხვევებში უნდა აიხსნას შემდეგი თავისებურებებით: მთის კლიმატი თავისი მოქმედებით იწვევს ორგანიზმის ფუნქციურ გააქტივებას და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას. როგორც ცნობილია, მთის პირობებში ხდება სუნთქვის გაძლიერება. ამით ვარჯიშდება როგორც ფილტვის ქსოვილი—ალვეოლები, ისე სასუნთქი კუნთები. ხშირი და ღრმა სუნთქვა, რომელსაც ადგილი აქვს მთის პირობებში, ხელს უწყობს ფილტვებში ჰაერის ვენტილაციას. ეს კი იწვევს ჟანგვითი პროცესების გაძლიერებას ორგანიზმში.

ფილტვის დაავადებათა შემთხვევებში გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მინერალურ წყლებს, რომელთა მეშვეობით ხდება ორგანიზმის დეზინტოქსიკაცია.

უნდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, რომ ტუბერკულოზურ შხამს ნერვული სისტემა მეტ შემთხვევაში აგზნებულ მდგომარეობაში მოჰყავს, ხოლო აგზნებული ნერვული სისტემის პასუხი ამა თუ იმ გამაღიზიანებელზე ძლიერ რეაქტიულია—ალერგიულია, რაც ასუსტებს ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას. ლებარდეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლდე კუროორტის მახლობლად ლებარდეს გზაზე

ლებარდე. კურორტის ერთ-ერთი კუთხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების სილამაზე ამშვიდებს ნერვულ სისტემას, რასაც დადებითი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის საერთოდ, და მით უმეტეს დაავადების შემთხვევაში.

აღნიშნული და სხვა სამკურნალო ფაქტორები დადებითად მოქმედებენ ფილტვისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზზე. ამას ადასტურებს ფაქტიური მასალები.

ამ საკითხზე ჩვენი მასალა ნაწილდება ორ ჯგუფად: პირველი—1944 წლიდან 1949 წლამდე, მეორე—1950 წლიდან 1954 წლამდე (პირველი მოცემულია მე-6 ცხრილში, მეორე მე-7-ში).

დაკვირვების ქვეშ მყოფი ტუბერკულოზიანი ავადმყოფები (1944 წლიდან 1949 წლამდე)

ცხრილი 6

ასაკი	დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთა რაოდენობა	მათ შორის					
		ფილტვის ტუბერკულოზი ღია ფორმით	ბრონქული ტუბერკულოზი	კისრის ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი	ტუბერკულოზი ლაბირინთის ტუბერკულოზი	ძვალ-სახსრული ტუბერკულოზი	მკურნალობდნენ ზეწოლოვნური ინექციით
სრულასაკოვანი	47	28	—	3	5	1	15
მოზარდი (15—18 წლამდე)	8	2	5	—	1	—	1
ბავშვები (1-14 წლამდე)	9	2	6	—	—	1	—
სულ	64	42	11	3	6	2	16

მაგალითისათვის მოგვყავს რამდენიმე შემთხვევა, რომელიც ნათელჰყოფს კურორტ ლებარდეს სამკურნალო გავლენას ფილტვისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზზე.

ავადმყოფი დ. ტ. ა., 22 წლის (გეგეჭკორის რაიონიდან). 1948 წლის 10 თებერვალს აყვანილ იქნა ალრიცხვაზე გეგეჭკორის რაიონული პოლიკლინიკის ტუბკაბინეტში დიაგნოზით: მარჯვენა ფილტვის კავერნული ტუბერკულოზი, რღვევისა და მოთესვის ფაზაში; ნახველში ტუბერკულოზის ჩხირები. ავადმყოფი მოთავსებულ იქნა რაიონულ საავადმყოფოში და დაეწყო მკურნალობა ხელოვნური პნევმოთორაქსით (მარჯვენა ფილტვის). ავადმყოფს თავიდანვე ჰქონდა აჩქარებული გულისცემა, მაჯისცემა—წუთში 140—150.

პნევმოთორაქსით მკურნალობის შემდეგ მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, ინტოქსიკაციის მოვლენები შენელდა, ტუბერკულოზის ჩხირების ნახველთან ერთად გამოყოფა შეწყდა. მაგრამ ინტოქსიკაციის ნიშნები დროდადრო ოფლიანობისა და გულის მხრივ მაინც ჰქონდა, რადგან პნევმოთორაქსი სავსებით ეფექტური არ იყო მწვერვალზე შეხორცების გამო.

ამავე წელს ავადმყოფი კლიმატური მკურნალობისათვის წავიდა ლებარდეში. ლებარდეში წასვლის წინ ავადმყოფის სისხლის სურათი ასეთი იყო: ჰემოგლობინი 60%, ერითროციტები 3 200 000, ლეიკოციტები 5 800, ედრ 22 მმ/საათში.

რენტგენოსკოპიულად მე-4—5 ნეკნთა შუა არეში ჩანდა კავერნა შედარებით დაპატარავებული. მაჯისცემა—წუთში 120. ავადმყოფს მივეცით რჩევა მიეღო მინერალური წყალი 1—1½ ლიტრამდე დღეში. ავადმყოფის მდგომარეობა თანდათანობით გაუმჯობესდა, გაქრა ინტოქსიკაციის ნიშნები. ავადმყოფი ლებარდეში დარჩა ერთ თვეს. წონაში მოიმატა 6 კგ. დაბრუნდა შესამჩნევად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში. დაბრუნების შემდეგ ტუბკაბინეტში ჩატარებულმა სისხლის ლაბორატორიულმა გამოკვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა: ჰემოგლობინი 90%, ერითროციტების რაოდენობა 4 500 000, ლეიკოციტები 5 200, ედრ 12 მმ/საათში. ავადმყოფი 3 წლის განმავლობაში სისტემატურად დადიოდა ლებარდეში. ამ ხნის განმავლობაში კავერნა დაიხურა, ანთებითი კერები შეიწოვა და ავადმყოფი განიკურნა. 3 წელზე მეტია, რაც ზემოხსენებულმა ავადმყოფმა მკურნალობა შეწყვიტა. ამჟამად პრაქტიკულად ჯანმრთელია და მუშაობს კოლმეურნეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე შემთხვევა. ავადმყოფი ფ. ს. ა., 24 წლის, დიასახლისი (გეგეჭკორის რაიონიდან). აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 1948 წ. 7 აპრილს დიაგნოზით: მარცხენა ფილტვის ინფილტრაციული ტუბერკულოზი, რღვევის ფაზაში, ნახველში ტუბერკულოზის ჩხირები. მოთავსებულ იქნა ქ. ცხაკაიას ტუბდისპანსერში და დაეწყო მკურნალობა ხელოვნური პნევმოთორაქსით მარცხენა მხარეზე. მიუხედავად ფილტვის კარგი შეკუმშვისა, მაინც აღინიშნებოდა ინტოქსიკაციის მცირე ნიშნები ოფლიანობისა და ტემპერატურის სახით (37,2°). ავადმყოფს პნევმოთორაქსი გაურთულდა პნევმოპლევრიტით, კოხის ბაცილას არ გამოყოფდა. ავადმყოფი ძალიან ნერვიულობდა. ასეთ მდგომარეობაში ის წავიდა ლებარდეში სამკურნალოდ. ლებარდეში ჩასვლის მეორე დღიდან მისცა მაღალი სიცხე— 39,5—40°-მდე. კონსერვატული და სიმპტომატური მკურნალობა შედეგს არ იძლეოდა. ჩვენთან ერთად მას მკურნალობდნენ ექიმები ბ. კ. გობეჩია და ი. ი. ჟორდანია. ავადმყოფს რჩევა მივეცით წასულიყო ლებარდედან, მაგრამ იგი ამაზე არ დათანხმდა. მე-11 დღეს ტემპერატურა ნორმამდე ჩამოვიდა, ზოგადი მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა, გაქრა ინტოქსიკაციის ყოველგვარი ნიშანი. ავადმყოფმა თვენახევარი დაჰყო ლებარდეში და დაბრუნდა შესამჩნევად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში. ორი თვის შემდეგ პნევმოთორაქსით მკურნალობა შეწყვიტა. მას შემდეგ ავადმყოფმა იმშობიარა ორჯერ. ლებარდეში დადიოდა სისტემატურად და სრულიად განიკურნა. ამჟამად პრაქტიკულად ჯანმრთელია და შრომისუნარიანი.

ასეთი კარგი შედეგები, ჩვენ მასალაზე, შემთხვევათა 90%-ში გვაქვს.

ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზით დაავადებულთაგან მოგვყავს ერთი საინტერესო შემთხვევა (1945 წლის შემთხვევა).

ავადმყოფი ც. გ. ი., 25 წლის, დიასახლისი (გეგეჭკორის რაიონიდან). ჰყავს ძუძუმწოვარი ბავშვი. მოიყვანეს ლებარდეში მძიმე მდგომარეობაში. პირველ ხანებში ავადმყოფი მწოლიარე იყო, ტემპერატურა ჰქონდა 39°, ძლიერ ოფლიანობდა, უჩიოდა ტკივილს მუცლის არეში, ფაღარათობას, რომელიც

ჩშირად იცვლებოდა ყაბზობით, პიროლებინებას, განსაკუთრებით საჭმლის მიღების შემდეგ. როგორც თვითონ აღნიშნავს, ავადმყოფობა დაეწყო 1944 წელს. ავადმყოფი ძლიერ დასუსტებულია, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი განლეული, ლორწოვანი გარსი მეტად მკრთალი—ანემიური, ენაზე მცირე ნადები, მუცელი ჩავარდნილი, პალპაციით მტკივნეული, უფრო მეტად ჭიპის ირგვლივ და მარჯვნივ ილეოცეკალურ არეში ისიხჯება გადიდებული ჯირკვლები. პალპაციით მტკივნეულია აგრეთვე შარდის ბუშტის საპროექციო არე. კლინიკური სურათის მიხედვით—მეზენტერიული ჯირკვლების გარდა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ენტეროკოლიტის ნიშნებიც. გულის მხრივ ორგანული ცვლილებები არ არის. პულსაცია აჩქარებული, მაჯა ძაფისებრი; ფილტვების მხრივ სტეტაკუსტიკურად ცვლილებები არ აღინიშნება.

ჩვენი დახმარება გამოიხატებოდა დროდადრო ქაფურისა და კოფეინის გაკეთებაში. ჩვენთან ერთად ავადმყოფს მკურნალობდა და მეთვალყურეობას უწევდა გეგეჭკორის რაიონული პოლიკლინიკის ყოფილი მთავარი ექიმი, აწ განსვენებული ა. ზარქუა. ავადმყოფს რჩევა მივეცით მიეღო მინერალური წყალი ½—1 ჩაის ჭიქის რაოდენობით ჭამის შემდეგ, დღეში 1 ლიტრამდე. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფის მდგომარეობა არასაიმედო იყო, ლებარდეს სამკურნალო ფაქტორებმა გამოაჯანსაღა იგი და კურორტიდან დაბრუნდა საკმაოდ გაუმჯობესებულ მდგომარეობაში. ამჟამად იგი ჯანმრთელი და საკუსებით შრომისუნარიანია.

როდესაც ანთებითი პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, ეს იმის შედეგია, რომ დაავადების გამომწვევ აგენტს დაძლეული აქვს ორგანიზმის იმუნობიოლოგიური ძალები (დამცველი ძალები). თუ ასეთ შემთხვევაში რომელიმე შინაგანი ან გარეგანი ბუნებრივი ფაქტორით ან ქიმიური ნივთიერებების (მედიკამენტები) მოქმედებით არ გავაძლიერეთ დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზმი, უდავოა, ავადმყოფობა იმსხვერპლებს ადამიანს. ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებს შეუძლია ორგანიზმზე რეაქტიული მოქმედებით გააძლიეროს მისი იმუნობიოლოგიური ძალები და ამით შესაძლებლობა მისცეს ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზმს შეებრძოლოს დაავადების გამომწვევ აგენტებს და ანთებითი პროცესი შეანელოს ანდა საერთოდ დაძლიოს აგენტი და მთლიანად განკურნოს ორგანიზმი.

ლებარდე კარგად მოქმედებს ექსუდაციური პლევრიტით დაავადებულებზე, როდესაც ექსუდატი შეწოვის ფაზაში იმყოფება. 10 წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა 78 შემთხვევა ექსუდაციური პლევრიტით და პოლისეროზიტით დაავადებულთა მკურნალობისა ლებარდეში. ლებარდეს პირობებში სითხის შეწოვა შედარებით სწრაფად ხდებოდა და ავადმყოფები შესამჩნევ გაუმჯობესებას ღებულობდნენ. ჩვენ გვქონდა მწვავე ექსუდაციური პლევრიტის შემთხვევებიც, მაგრამ დადებითი შედეგი არ მიგვიღია; ადგილი ჰქონდა მდგომარეობის შედარებით გაუარესებასაც.

მწვავე დაავადებებიდან ლებარდეში უფრო მეტად გვხვდება გრიპი და ზემო სასუნთქი გზების კატარული ანთება, ისიც უფრო ხშირად ბავშვთა შორის, ჩვილ ბავშვთა შორის კი—დისპეფსიები. მართალია, ამას ხშირი ხასიათი არა აქვს, მაგრამ, ამინდის ცვალებადობასთან დაკავშირებით, ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფობა სეზონურ ხასიათს ღებულობს.

1950 წელს 26 ავადმყოფიდან ცალმხრივი ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობდა 14, ორმხრივი ხელოვნური პნევმოთორაქსით—3 და სამკურნალო პნევმოპერიტონეუმით—2. 1951 წელს 36 ავადმყოფიდან ცალმხრივი ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობდა 14, ორმხრივით—4 და პნევმოპერიტონეუმით—8. 1952 წელს 27 ავადმყოფიდან ცალმხრივი ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობდა 9, ორმხრივით — 3 და პნევმოპერიტონეუმით—9; ხოლო 1953 წელს 36 ავადმყოფიდან ცალმხრივი ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობდა 14, ორმხრივით—1 და პნევმოპერიტონეუმით—14.

სერთოდ, უფრო მეტი ეფექტი მივიღეთ იმ ავადმყოფთა შორის, რომლებიც კლიმატოთერაპიასთან ერთად მკურნალობდნენ კოლაფსოთერაპიით (ხელოვნური პნევმოთორაქსით).

1950—1954 წლების განმავლობაში ლებარდეში ისვენებდა 75 ფილტვებით ავადმყოფი, მათგან ხელოვნური პნევმოთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 7

დაკვირვების ქვეშ მყოფი ტუბერკულოზით დაავადებულები (1950 წლიდან 1954 წლამდე)

ფარული	დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთა რაოდენობა.	ჰემოგლობინი					ESR					წონა				
		მინიმალური მატება	საშუალო მატება	მაქსიმალური მატება	დაკლების შემთხვევათა რაოდენობა	უცვლელი მდგომარეობის შემთხვევათა რაოდენობა	მინიმალური შენელება	საშუალო შენელება	მაქსიმალური შენელება	აჩქარების შემთხვევათა რაოდენობა	უცვლელი მდგომარეობის შემთხვევათა რაოდენობა	მინიმალური მატება	საშუალო მატება	მაქსიმალური მატება	წ/დაკლების შემთხვევათა რაოდენობა	უცვლელი მდგომარეობის შემთხვევათა რაოდენობა
1950 წ. ივლისი—აგვისტო	26	8%	13%	24%	1	—	4	11	35	1	—	1,5 კგ	3 კგ	5 კგ	1	1
1951 წ. ივლისი—აგვისტო	36	10%	16%	28%	—	2	6	15	28	—	2	1 კგ	2,4 კგ	4 კგ	—	1
1952 წ. ივლისი—აგვისტო	27	4%	8%	14%	2	—	6	12	17	1	6	1 კგ	2 კგ	5 კგ	2	—
1953 წ. ივლისი—აგვისტო	36	6%	12%	20%	1	—	8	15	26	1	2	1 კგ	2,7 კგ	4 კგ	—	3

რაქსით მკურნალობდა 61 (86,6%). აღნიშნული 61 ავადმყოფიდან ლებარდეში სისტემატური მკურნალობის შედეგად პრაქტიკულად გაჯანსაღდა 29 ავადმყოფი (70,7%).

მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზით დაავადებულთა შორის ლებარდეში შესამჩნევი გაუმჯობესება აღინიშნება, ლებარდე მაინც არ ჩაითვლება ფილტვის ტუბერკულოზის სამკურნალოდ განკუთვნილ კურორტად. ამ მხრივ ის ვერ გაუწევს მეტოქეობას საქართველოს ცნობილ კურორტ აბასთუმანს, რამდენადაც ტუბერკულოზით დაავადებულისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის სიმშრალეს, ხოლო აბასთუმნის ჰავა, როგორც ცნობილია, უფრო მშრალია, ვიდრე ლებარდეს ჰავა. ლებარდეს ჰავაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ზღვა, ეს კი რამდენადმე სინესტეს მატებს მის კლიმატს. ამასთანავე, ლებარდე ჯერჯერობით არ არის უზრუნველყოფილი სპეციალური სანატორიუმებით.

ლებარდეს სამკურნალო ფაქტორები უფრო ეფექტურია სხვა დაავადებათა შემთხვევებში, როგორიც არის, მაგალითად, კუჭ-ნაწლავთა, შარდგამომყოფი გზების, ღვიძლის და ნაღვლის გზების დაავადებანი, სისხლნაკლულობა, გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი.

ლებარდეს სამკურნალო ფაქტორები კარგად მოქმედებენ აგრეთვე ფილტვის არასპეციფიკურ დაავადებებზე, როგორიც არის ფილტვის აბსცესი მორჩენის პერიოდში, ბრონქული ასთმა არახშირი მწვავე შეტევებით, ქრონიკული ბრონქიტი და სხვ.

ლებარდეს ჰავა კარგად მოქმედებს მალარიით დაავადებულებზე. ლებარდეში კარგად გრძნობენ თავს აგრეთვე დიაბეტით დაავადებულები.

პოლიკლინიკის მასალების მონაცემების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ლებარდე არაკეთილსასურველ გავლენას ახდენს ყელის და რევმატულ დაავადებებზე, რაც უნდა აიხსნას ცივი მინერალური წყლისა და კურორტის გრილი, ტენიანი ჰავის უარყოფითი გავლენით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კურორტ ლებარდეში ყოველწლიურად მრავალი ბავშვი ისვენებს. ამის გამო ლე-

ბარდეს ხშირად ბავშვთა კურორტს უწოდებენ. ეს შემთხვევითი არაა.. ლებარდე ძალიან კარგად მოქმედებს ბავშვებზე. ბავშვები იმატებენ წონაში, მაგრდება მათი ორგანიზმი, იკურნებიან პერიფერიული და ბრონქული ჯირკვლების ანთებით დაავადებულები, კვებადაქვეითებული და სისხნაკლული ბავშვები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვილი ბავშვების (ერთი ან ორი თვის ასაკის) წაყვანა ლებარდეში არაა მიზანშეწონილი, რადგან ლებარდე მაღალი ადგილია და აკლიმატიზაციის ვარეშე ბავშვის 1 600 მეტრ სიმაღლეზე აყვანა (ატმოსფერული წნევის ასეთი მკვეთრი ცვლილება 1 ½—2 საათის განმავლობაში) უარყოფითად მოქმედებს ჩვილ ორგანიზმზე. არაიშვიათად ჩვილი ასაკის ბავშვები ლებარდეში ჩაყვანის პირველ ან მეორე დღეს ანოქსემიის მდგომარეობაში ვარდებიან. გარდა ამისა, მათ ხშირად უვითარდებათ სასუნთქი გზების კატარული პროცესები, რომლებიც აქ ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივად, მაღალი რეაქციით და ხშირად გართულებებით მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლებარდესაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს აკლიმატიზაციის ხელშემწყობი სადგურები; ასეთია სადგური „კალანდიას კარვის“ სახელწოდებით, რომელიც ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, აგრეთვე „ქობალიას კარავი“, რომელიც ზღვის დონიდან 1 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. უდავოა, როდესაც ფართოდ გაიშლება ლებარდეს კეთილმოწყობის სამუშაოები, მაშინ სათანადო, ყურადღება მიექცევა აღნიშნულ კლიმატურ სადგურებსაც.

* * *

ლებარდეს მთის კლიმატზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გავლენას ახდენს ზღვის ჰავა, რაც მთის მკაცრ კლიმატს არბილებს და სასიამოვნოს ხდის. გარდა ამისა, ლებარდეს გააჩნია კარგი სამკურნალო მინერალური წყლები—ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმ-რკინიანი ჯგუფისა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ნახშირმჟავა გაზს. სუფთა, სურნელოვა-

„ჩამჭონი“. ჩრდილოეთის ხედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტვილის მონასტერი.

ნი, ოზონირებული ჰაერი, მზის სხივების მდიდარი რადიაციები, ბუნების დამამშვიდებელი სილამაზე—ყველაფერი ეს ერთად წარმოადგენს სამკურნალო ფაქტორთა მეტად ხელსაყრელ კომპლექსს. სხვადასხვა ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორთა ერთობლივ გავლენას დაავადებულ ორგანიზმზე ისევე შეუძლია დადებითი ეფექტის მოცემა, როგორც, მაგალითად, ავადმყოფის მკურნალობას სხვადასხვა ეფექტური საშუალებებით (ანტიბიოტიკებით ან ქიმიური პრეპარატებით) კომბინურად.

ლებარდეს სამკურნალო ფაქტორები კომპლექსურად მოქმედებენ ორგანიზმზე, ხელს უწყობენ მის გამაგრება-განმტკიცებას და საბოლოო განკურნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი

ჩვენებანი

1. მშრალი პლევრიტი და ექსუდაციური პლევრიტების ნარჩენი მოვლენები;
2. ქრონიკული ბრონქიტი, ბრონქული ასთმა და ფილტვების ემფიზემა მსუბუქ ფორმებში;
3. ბრონქოადენიტები, ლიმფადენიტები;
4. ფილტვის ტუბერკულოზის დახურული ფორმები;
5. მეორადი ანემია;
6. მალარია;
7. კუჭის ქრონიკული კატარი;
8. კუჭ-ნაწლავის ატონია;
9. ქრონიკული კოლიტები ნაწლავების მოტორული ფუნქციის დაქვეითებით (ყაბზობა);
10. შარდგამომყოფი და ნაღვლის გზების ქრონიკული ანთება;
11. ნევრასთენიის მსუბუქი ფორმები.

წინააღმდეგჩვენებანი

1. ფილტვის ტუბერკულოზის ღია ფორმები;
2. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი სუბდა დეკომპენსაციის ფაზაში;
3. ყველა მწვავე დაავადება;
4. ყველა დაავადება, რომელიც საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია კურორტებზე მკურნალობისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურორტ ლებარდეს განვითარების პერსპექტივები

ყოველგვარი მონაცემები არსებობს, რომ სათანადო კეთილმოწყობის შემდეგ ლებარდე გახდეს საქართველოს ერთ-ერთი პირველხარისხოვანი კურორტი.

ლებარდე მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია, რომელიც მნიშვნელოვნად განიცდის ზღვის ჰავის გავლენას და, ამდენად, იგი ნაჩვენებია მთელ რიგ ისეთ დაავადებათა სამკურნალოდ, რომლებიც ჩვეულებრივ უკუნაჩვენებია მაღალი მთის კურორტისათვის.

ლებარდეს ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ადგილის რელიეფი და ფლორა. ფართობი, რომელიც უჭირავს კურორტს, 1 300 ჰექტარს აღემატება; აქედან ნახევარზე მეტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკურორტო მშენებლობისათვის, დანარჩენი ტერიტორია დაფარულია წიწვიან-ფოთლოვანი ტყეებით.

ლებარდე მდიდარია აგრეთვე სამკურნალო მინერალური წყაროებით. კურორტი შეიძლება კიდევ უფრო გამდიდრდეს ჩეგოლას მინერალური წყაროებით, რომელთა გამოყვანა ლებარდეში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

მდინარე ტეხურის ხეობის ზემო ნაწილში არსებული საკურნალო ადგილების „ხილის“, „ჩამჰონის“ და სხვათა კეთილმოწყობით ლებარდეს შეემატება ახალი სამკურნალო და დასასვენებელი მიდამოები, რაც ხელს შეუწყობს მშრომელთა საკურორტო მომსახურების გაუმჯობესებას.

ლებარდეს, სათანადო კეთილმოწყობის პირობებში, შეუძლია მოემსახუროს ერთდროულად ათი ათასზე მეტ დამსვენებელს და ავადმყოფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურორტის მუშაობის სეზონი შეიძლება გაგრძელდეს პირველი ივნისიდან პირველ ოქტომბრამდე.

საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ამ უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა ექსპედიციურ-ჰიდროგეოლოგიურმა დაზვერვამ ცხადჰყო ლებარდეს მინერალური წყაროების დებიტის მნიშვნელოვანი ვადიდების და კიდევ უფრო მაღალი სამკურნალო თვისებების წყლის მიღების შესაძლებლობა.

აღნიშნულ სამუშაოთა განხორციელება ლებარდეს ჩააყენებს საქართველოს პირველხარისხოვან მთის კლიმატურ და ბალნეოლოგიურ კურორტთა რიგებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 5
ლებარდეს აღწერილობა და მოკლე ისტორიული ცნობები . . 6
ლებარდეს ჯგუფის სამკურნალო ადგილები 10
სამკურნალო ფაქტორები და მათი გავლენა ზოგიერთ დაავადებაზე . 12
მინერალური წყლები 15
მზის სხივები 27
ლებარდეს სამკურნალო გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემის
დაავადებებზე 28
ფილტვისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი . . . 32
ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი 42
კურორტ ლებარდეს განვითარების პერსპექტივები 43

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ნოდია
გამომცემლობის რედაქტორი გ. ქველაძე
მხატვრები შ. ბერიტაშვილი და რ. რევაზიშვილი
ტექ. რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ნ. დოლიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII-56 წ. ანაწყობის ზომა 5,5 × 9,
ქაღალდის ზომა 84 × 108/32, ნაბეჭდი თაბახი 2,46, სალრ.-საგამომც.
თაბახი 2,18,
საავტორო თაბახი 1,96. შეკვ. № 701 ტირაჟი 2000 უე 03037

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Александр Виссарионович Ратиани

ЛЕЧЕБНЫЕ ФАКТОРЫ КУРОРТА ЛЕБАРДЕ

(На грузинском языке)

Грузмедгиз
Тбилиси
1956

J. 218/173

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 60 კაპ.